



EP GEORGIA GENERATION

JSC "EP GEORGIA GENERATION"
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
ID Code: 405182626

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24
0186 თბილისი, საქართველო
სარ. კოდი: 405182626

#3001806

22.03.2023

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს
შის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150

ასლი: სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
შის: თბილისი, გულუას ქუჩა 6

ქალბატონი თამარ.



გაცნობებთ, რომ სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“-ს (შემდგომში კომპანია) კუთვნილ რიონის ჰიდროელექტროსადგურზე იგეგმება დადგმული სიმძლავრის გაზრდა. ამასთან დადგმული სიმძლავრე იზრდება ჰიდროაგრეგატის განახლების ხარჯზე (გენერატორის შეცვლა) და არ იცვლება ჰიდროაგრეგატის საპროექტო საანგარიშო წყლის ხარჯი. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება საშუალებას აძლევს ქვეყნას მიიღოს დამატებითი ელექტროენერგია, წყლის რესურსების მოხმარების გაზრდის გარეშე.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ რიონის ჰიდროელექტროსადგურზე დადგმული სიმძლავრის გაზრდა განხორციელდა ორჯერ. სიმძლავრის პირველი ზრდა აისახა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 18 ივნისის #2-579 ბრძანებით შესაბამის გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში, როდესაც ჰესის დადგმული სიმძლავრე 48.0 მგვტ-დან გაიზარდა 51.0 მგვტ-მდე ჰესის საპროექტო საანგარიშო წყლის ხარჯის გაზრდის მგვტ-დან გაიზარდა 51.0 მგვტ-მდე ჰესის საპროექტო საანგარიშო წყლის ხარჯის გაზრდის გარეშე. მეორედ ჰესის დადგმული სიმძლავრის ზრდა აისახა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 სექტემბრის #2-863 ბრძანებით შესაბამის სკრინინგის გადაწყვეტილებაში, სადაც უცვლელი დარჩა ჰიდროენერგიული ცვლილებისას ასევე არ გაზრდილა ჰესის საპროექტო საანგარიშო წყლის ხარჯის რაოდენობა) ხოლო ჰესის დადგმული სიმძლავრე გაიზარდა 54.0 მგვტ-მდე.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ამჟამად კვლავ იგეგმება ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის გაზრდა, რაც გახდა იმის საფუძველი, რომ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-ში 2022 წლის 21 ნოემბერს წარმოდგენილი იქნა სკრინინგის ანგარიში. ანგარიშის თანახმად რიონის ჰიდროელექტროსადგურზე იგეგმება #3 ჰიდროაგრეგატის რეაბილიტაცია

(12.0 მგვტ ნომინალური სიმძლავრის გენერატორის შეცვლა), რომლის სიმძლავრე რეაბილიტაციის შემდეგ გაიზრდება და გახდება 15.0 მგვტ, შესაბამისად გაიზრდება რიონის ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე და გახდება 57.0 მგვტ. ამასთან, მხოლოდ ჰიდროაგრეგატის რეაბილიტაციით, გარემოზე დამატებითი ზემოქმედების გარეშე (არ იცვლება ჰესის საპროექტო საანგარიშო წყლის ხარჯი) გაიზრდება მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურის წარმადობა.

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“-ს მიერ 2022 წლის, 21 ნოემბრის # 3001715 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში სააგენტომ დაახარვეზა 2022 წლის 30 ნოემბერს #21/7335 წერილით. კომპანიამ ხარვეზი გამოასწორა და სკრინინგის განცხადება კვლავ შემოიტანა 2022 წლის, 15 დეკემბერს # 3001736 წერილით.

აღნიშნული სკრინინგის ანგარიში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ კიდევ ერთხელ დაახარვეზა 2023 წლის, 8 თებერვალს # 21/726 წერილით, სადაც იგივე ანგარიშზე აჩალი შენიშვნები იქნა მოცემული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გიგზავნით 2023 წლის 8 თებერვლის # 21/726 წერილით მოცემულ შენიშვნებზე პასუხს, კერძოდ:

- პირველ პუნქტზე პასუხი შეტანილ იქნა სკრინინგის ანგარიშის 6.6.2 თავში (ჰიდროლოგიური მონაცემები).
 - რაც შეხება იქთიოფაუნას, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ რეკონსტრუქცია ხდება ჰესის შენობაში, დგება ახალი ჰიდროაგრეგატი, ამასთან არ იცვლება მოხმარებული წყლის რესურსის ოდენობა, შესაბამისად იქთიოფაუნაზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება;
 - სკრინინგის ანგარიშის 6.8 თავში მოცემული ინფორმაცია იქთიოფაუნის შეფასებაზე - „შეუძლევადად დამყარებულია გარევული წონასწორობა“-ში იგულისხმება ჰომეოსტაზის მოვლენა, (ბერძ. homoios - მსგავსი და statis - უძრაობა) — ადამიანის, ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმის შინაგანი გარემოს შედგენილობისა და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შედარებითი დინამიკური მუდმივობა და ძირითადი ფიზიოლოგიური ფუნქციების მედეგობა. ეკოსოსტემის ჭრილში იგულისხმება საარსებო გარემოს ჰიდრობების ცვლილებისადმი (რიონჭესი აშენებულია გასული საუკუნის 30 -იან წლებში) იქ არსებული პოპულაციების ადაპტაციები, რომელიც განაპირობებს სახეობების, ხოლო სახეობებში ასაკობრივი სტრუქტურის ჰომეოსტაზის.
 - რაც შეხება მეოთხე პუნქტს, როგორც ზემოთ აღნიშნეთ სს „ეპ ჯორჯია გენერაციამ“ ორჯერ გაზარდა ჰესის დადგმული სიმძლავრე, რაზეც გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, კერძოდ,
 - ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 18 ივნისის #2-579 ბრძანებით შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, #4 ჰ/აგრეგატის რეაბილიტაციის შემდგომ რიონჭესის დადგმული სიმძლავრე გახდა 51.0 მგვტ. №1, №2 და №3 ჰიდროაგრეგატების ნომინალური სიმძლავრე დარჩა 12.0 მგვტ, ხოლო №4 ჰიდროაგრეგატის სიმძლავრე გაიზარდა და შეადგინა 15.0 მგვტ.
 - ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 სექტემბრის #2-863 ბრძანებით შესაბამის სკრინინგის დოკუმენტის საფუძველზე #2 ჰ/აგრეგატის რეაბილიტაციის შემდგომ რიონჭესის დადგმული სიმძლავრე გახდა 54.0 მგვტ. №2 ჰ/აგრეგატის რეაბილიტაციის შემდგომ მისმა ნომინალურმა სიმძლავრემ შეადგინა 15.0 მგვტ, ნაცვლად 12.0 მგვტ-ისა, №1 და №3 ჰიდროაგრეგატების ნომინალური სიმძლავრე დარჩა 12.0 მგვტ, ხოლო №4 - 15.0 მგვტ.
 - რაც შეხება ჰესის დადგმული სიმძლავრის გაზრდას 57.0 მგვტ-მდე უნდა განხორციელდეს #3 ჰ/აგრეგატის რეაბილიტაციის ხარჯზე (უნდა შეიცვალოს 12.0 მგვტ ნომინალური სიმძლავრის გენერატორი ახლით -15.0 მგვტ).

დამატებით აღვნიშნავთ, რომ ექსპლუატაციაში არსებული ჰესების დადგმული სიმძლავრის გაზრდა ჰესების საპროექტო საანგარიშო წყლის ხარჯის ზრდის გარეშე, მსოფლიოში მიჩნევა წყლის რესურსების ეფექტური და რაციონალური მართვის საუკეთესო პრაქტიკად. ამ მიმართულებით სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“ განუხრელად ახორციელებს ინვესტიციებს და ქვეყანაში ზრდის მწვანე ელექტროენერგიის გამომუშავებას.

- აგრეთვე 2023 წლის 17 მარტის # 21/1828 წერილის მოთხოვნის თანახმად განმეორებით (კომპანიამ აღნიშნული იმფორმაცია მოგაწოდათ 2022 წლის 15 დეკემბრეს #3001736 წერილით) გიგზავნით ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, სააგრეგატე შენობის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp ფაილთან ერთად);

დამატებით გაცნობებთ, რომ სკრინინგის დოკუმენტში შესწორებულ იქნა მცირე სახის უზუსტობანი მე-2 თავში (ზოგადი ინფორმაცია რიონის ჰიდროელექტროსადგურის შესახებ და მისი ტექნიკური მახასიათებლები).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ რიონის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებასა და სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ, დახარვეზებულ პუნქტებზე პასუხებთან ერთად მხედველობაში მიიღოთ ზემოხსენებული მე-2 თავიც.

დანართი:

- რიონის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშის ბეჭდური ვერსია;
- რიონის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
- სააგრეგატე შენობის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

დიან დიმოვი
დირექტორთა საბჭოს წევრი